საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# ლეჩხუმის განძი

ლეჩხუმის განძი, II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების განძი (309 ც.) აღმოჩენილია 1918. ე. თაყაიშვილის მიერ პარიზიდან დაბრუნებული მასალის პაკეტზე, რ-შიც ეს განძი იყო მოთავსებული, ე. პახომოვის ხელით აწერია: „Из Лечхумского клада“. ერთ-ერთი მონეტის ავერსზე, ადამიანის გამოსახულების კეფასთან მოთავსებულია ასო „O“. დაცულია საქართვ. ეროვნ.-მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბაში (გ. ფ. №№6355–6664).

*ლიტ.*: დ უ ნ დ უ ა  გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა  ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.